


1937

ქართობი

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



1937

10



ოქტომბერი

საბ. კ. პ. (ბ) ც. პ-ის გამ. „კომუნისტი“
რედაქ. მისამართი: ტფილისი, ვრიზოვლოვის ქ. № 34
ტელ. № 3-02-61

საბ. ა. ლ. კ. კ. ცეკას და საბ. ბანსახკომის ერთობიური ორგანო

შინაარსი

	გვ.
1. გიორგი ქაჩიშვილი — ლენინს, სტალინს (ლექსები)	3
2. როდონ ქოქია — ოქსანა (მოთხრობა)	4
3. ი. მხედრიანი — ოქტომბერი (ლექსი)	9
4. ალ. გოგაძე — ენის გმირობა (მოთხრობა)	10
5. ღვთისმშობელი — მეეტლე (მოთხრობა)	13
6. ი. გრიშაშვილი — ალიბაბა (მოთხ. თარგმანი)	17
7. ლილია მგალობელი — ჩემო ბატარავ (ლექსი)	20
8. თ. შავერვაშვილი — დათუნას ბაუბაჯი (ნოტი) ვარკვანის მე-3 გვ.	
9. ვ. კირაკოზიანი — რეზოს დღიური (მოთხრობა)	მე-4 გვ.

ფურცელი გაფორმებულია მხატვარ ივ. ჯავახვილის მიერ.
ყლის მხატვრობა ს. კეცხოველისა

პ.მგ. რედაქტორი ბაბო ბაზინაშვილი პ.მგ. მღვიანი ლ. შინინაძე

გადაეცა წარმოებას 10/X-1937 წ.
ხელმოწერილია დასაბუქლად 25/X

ჭალალის ზომა 60X92
ფორმათა რაოდენობა 20 გვ. 9¹/₄X14

2008



საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო
საბჭოთაო

გიორგი ქაჩიშვილი

სიმღერა ოქტომბრისა

ღ ე ნ ი ნ ს

ბედნიერი ბედნიერზე
მოღის ჩვენი მწყობრი,
მოღის, მღერის ოქტომბერზე,
შობილი ოქტომბრის.

ჰეი, ბაღღებო! შემოვძახოთ
ლაღად, ერთსულოვნად,
ნორჩ გულებში ჩავისახოთ
ჩვენ ლენინის ხსოვნა.

ვაშა, ვაშა გულსხივოსანს,
ვაშა ძია სტალინს,
შესავეთ რომ გვზრდის და გვმოსავს
მზრუნველობის თვალით!

ბედნიერი ბედნიერზე
მოღის ჩვენი მწყობრი,
მოღის, მღერის ოქტომბერზე,
შობილი ოქტომბრის.

ს ტ ა ლ ი ნ ს

ხალხთა დიდო მეგობარო,
შუქმფინარო მზეო — სტალინ,
ქვეყნად ყველა შენით ხარობს,
შენკენ რჩება ყველას თვალი.

შენი მზიურ სიყვარულით
გამთბარი გვაქვს ყველას გული
და საამურ ცხოვრებაში
ფერხული გვაქვს ხელჩართული!

ხალხთა დიდო მეგობარო,
შუქმფინარო მზეო — სტალინ,
ქვეყნად ყველა შენით ხარობს,
შენკენ რჩება ყველას თვალი!



ოქსანა



1

ლილიდანვე გამაყრუებელი სროლა ატყდა ქალაქგარეთ სახლებმა ზანზარი იწყო თანჯრები აძიგძიგდა და მინები წყრიალ-წყრიალით ჩამოცვივდა.

— წითლები გადმოვიდნენ შეტევაზე, — გავარდა ხმა ქალაქში. ქალაქი დაიძაბა. მდიდართ უბნებში შიში შეიპარა. მუშათა უბნებს იმედი მოეცათ.

სროლა სულ უფრო და უფრო მოიწვედა. ყუმბარები უკვე ქალაქში ჩამოვარდა.

— აი, დაინგრა ერთი სახლი. გამოეფატრა მუცელი მეორეს. ჩამტვრა მკერდი ქუჩას. აი, წაიქცა ერთი მოქალაქე, მეორე, მესამე ცოტაც — და ქარხნებმა საყვირი აუშვეს. თითქოს რალაცა გავხარდათ და ამოისუნთქესო.

ჩქარა ქუჩაც ახმაურდა.

— დედა! დედა! თეთრები გარბიან! თეთრები! — და ოქსანა გახარებულნი მივარდა დედას. — მაშ, გრიცკო მოვა... აი, ნახვ, თუ არ მოვა შემდეგ ოქსანა მებობელს შეუვარდა.

— ძია შოლომ! ძია შოლომ! თეთრები გარბიან! ჩემი გრიცკო მოვა. შენი მენდელიც მოვა. აი, ნახვ, მერე მე და მენდელი ავტოთი გავისეირნებთ.

შოლომმა სათვალევები შუბლზე აიწია და გაიცინა: — ჰო, ჩემო ოქროს ბიჭუნა ჰო! სროლა რომ შეწყდა, ხალხი ქუჩაში გამოეფინა.

ჩქარა გამოჩნდნენ წითელი რაზმებიც.

წითელი დროშები ზაფხულის მზეზე ქანაზბო-

და და მღეროდნენ მხედრები!

უშიშრად წავალთ საომრად,
გავალთ ხმალი და სროლაში,
საბჭოთა ხელისუფლებას
შევეწირებით ბრძოლაში.

— ვაშა! ვაშა! — იძახოდნენ მუშათა ქუჩებში, მღეროდნენ და ყვავილებს ისროდნენ წითელ არმიელებისაკენ.

ოქსანაც დგას ყვავილებით ხელში და აკვირდება ჯარს. რომელია გრიცკო? რომელია მენდელი? და უცებ შეჰყვირა:

— გრიცკო! გრიცკო! — ესროლა თავი და მივარდა ცხენს. ჩაებლაუჯა უზანგს.

მხედარი დაიხარა, ოქსანა ასწია, გადაკოცნა და წინ დაისვა.

— მენდელი სადაა? — იკითხა ოქსანამ.

— მოჰკლეს! — ამოიხრა გრიცკომ. — ეჰ, კარგი კომისარი იყო.

— საწყალი ძია შოლომ! — და ოქსანას ცრემლი ჩამოუგორდა. — მე კი ვახარე ამ დილას ჩვენები შემოვლენ და მენდელი მოვა მეთქი.



დღეა როგორაა? იკითხა გრიცკომ.

—წვეს ისევ, — მოიღრუბლა ოქსანა. — მას შემდეგ, რაც თფერებმა მამა ზერიტეს, სულ წვეს. ტირის.
— აბა, ძამიკო, ჩამოხტი ახლა! — დაუყვავა გრიცკომ — ჩვენ დავბინავდებით და მოვალ.

— კუთხემდის, გრიცკო! კუთხემდის! — შეეხვეწა ოქსანა.
შოსახვევთან ოქსანა ჩამოხტა და შინისაკენ მოკურცხლა.

2

დილა იყო, როცა ათიოდე წითელარმიელი სიმღერით მოადგა ოქსანას ბინას.

— დედა, მე ქალაქგარეთ მივიღივარ. ყუმბარების სროლაში უნდა ვავარჯიშო გუნდი. სადილოდ მელოდე.
— მეც წამოვალ, გრიცკო! — და ოქსანა წამოხტა, საჩქაროდ დაიწყო ჩაცმა.
— ნუ სულელობ! რა შენი საქმეა ყუმბარები? — გაუწყრა დედა.
— წამოვიდეს, დედი! რა უშავს! — უთხრა დედას გრიცკომ. — ჩემთან იქნება. ჩვენს ნაწილში სამი ბიჭი გვყავს ამისი ტოლა.
ოქსანამ ჩაიცვა და გაჰყვა ძმას.

გზაზე ერთი წითელარმიელი გაეხუმრა:

— რამდენი წლისა ხარ ბერიკაცო?
— შარშანს აქეთ ერთი წლისა ვარ, — ხუმრობითვე უპასუხა ოქსანამ.
— ხა... ხა... ხა... — გადაიხარხარეს წითელარმიელებმა.

მანაც რამდენისა იქნები? — არ მოეშვა წითელარმიელი.

— აი იმდენისა, რამდენიც დილია შენს ფრენზე, — გაიცინა ოქსანამ.

— ეს რა ყოფილა, შენი ჭირიმი! — და წითელარმიელმა დათვალა თავისი ღლები. — ხუთი წინ. ორი ჯიბეებზე. ოთხი სახელოზე. ორიც უკან. სულ...
— ხა... ხა... ხა... — ისევ გაიცინეს წითელარმიელებმა.

სიცილით მივიდნენ სასროლეთში.

— აი, ეს არის ხელყუმბარა. ამას ჰქვიათ ქიქა, ამას რგოლი, ამას პატრუქი, გასროლის წინ რგოლი უნდა გამოაძრო და ისე ტყორცნო, — აუხსნა გრიცკომ ოქსანას.

— აბა, ტარასენკო, ხეტქე! — უთხრა გრიცკომ ერთ წითელარმიელს. — ხეტქე დენიკის შიგ კაკალ გულში.

ტარასენკომ აიღო ხელყუმბარა. ტანი უკან გადასწია, მოიქნია, წინ გადიხარა და ისროლა.

— გრუ... უხ! — დაიგრუხუნა ყუმბარამ. ოქსანა შეკრთა და ყურები დაიკო. წითელარმიელებმა გაიცინეს.

— ყუმბარა ორმოც ნაბიჯზე, უნდა გადაისროლო — უხსნიდა გრიცკო გუნდს — ყუმბარას მიმართავენ როგორც იერიშის, ისე მოგერიების დროს, როგორც ცოცხალი მიზნის გასანადგურებლად, ისე სანგრებზე იერიშისას.

შემდეგ მიუბრუნდა იმ წითელარმიელს, ოქსანას რომ წლოვანებას ეკითხებოდა:

— აბა, ფესენკო, შენ! რეხვე ფესენკომ აიღო ყუმბარა.

— კოლჩაკს გულში! პირდა... პირ! — გასცა ვანკარგულემა გრიცკომ.

ფესენკომ გაისროლა, მაგრამ თავი ვერ შეიმავრა და ცხვირით მიწაში ჩაერქო.





—ხა...ხა...ხა...—გაიცინეს წითელარმიელებმა—ყუმბარა უნდა რეხვო, ბიჭო.
და არა ცხვირი.

ოქსანამაც ბევრი იცინა. ფესენკო ადგა, ცხვირი მოიხოცა და თქვა:—მთავარი ყუმბარა გასკდეს. რაც შეეხება ჩემს ცხვირს, კოლჩაკის ხელი მას ვერ მისწვდება...

პირველ დღეს ოქსანამ ვერ გაბედა ყუმბარისათვის ხელის მოკიდება. მეორე დღეს აიღო, გახედ-გამოხედა მიატრიალ-მოატრიალა. ისევ დასდო ფრთხილად. გავიდა კიდევ ორი დღე, და ოქსანამ გაბედა.

—ყუმბარას ისერის მომავალი წითელარმიელი, ამხანავი ოქსანა!—სიცილით დაიძახა გრიცკომ.

ყველამ ოქსანას შეხედა.

ოქსანამ აიღო ყუმბარა. ლოყები აეწვა. თვალები გაუგანიერდა. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, თითქოს მეკრძში არ ეტყვიან.

—ყოჩაღად, თითქოს ბურთი გესროლოს!—გამხნევეს ოქსანა.

—თეთრებს გულში! პირდა...პირ...!—გასცა განკარგულება გრიცკომ. ოქსანამ გაიბრინა, მოიქნია და ისროლა.

ყუმბარა შორს გაგორდა და ჩუმად შეძვრა ბალახებში. ოქსანა გაკვირდა.

—არ გასკდა!—უთხრა ძმამ. აბა, მეორე. მეორეც არ გასკდა.

—რატომ არ სკდება?—იკითხა ოქსანამ.

—ახლა გასკდება, —უთხრა ძმამ და ახალი მისცა. ოქსანამ ღონივრად მოიქნია და:

—გრუ...უხ...—გაისმა გრიალი.

—ვაიმე, თუ სულ დავანგრეე აქაურობა, — შეეშინდა ოქსანას და ერთხანს თვალი ვერ მოამორა კვამლის მაღალ სვეტს.

—ყოჩაღ! ყოჩაღ!—მოესმა ოქსანას აქეთ-იქითა

—ის პირველი ორი ყუმბარა ფუჭი იყო, —ახსნა ძმამ.—ცულად რომ გესროლა, დაგვლეჯდა.

ოქსანას ეწყინა, მაგრამ არ დაიმჩნია ისევ ისროლა.

ოქსანა ისე გაეწაფა სროლაში, რომ წითელარმიელები ხშირად ეტყოდნენ: —შენ უეჭველად ჩაგრიცხავთ გუნდში.

ოქსანაც ამაყად უპასუხებდა: —თქვენ რა გეგონათ, ვერ ვისწავლიდი? საღამობით კი ეზოში შეყრილ ბავშვებს ასე ეუბნებოდა: —ყუმბარა რომ ისროლო, დიდი სიმარჯვეა საქირო. მე სულაც არ მეშინია. მე ისე გადავაგდე, რომა...

ხოლო ძია შოლომს ასე ანუგეშებდა: —ნუ ტირი, ძია შოლომ! მე ყუმბარების სროლას ვსწავლობ. წავალ წითელარმიისაში და სულ ამოწყვეტ თეთრებს...

3

დიდხანს არ გავრძელდა ოქსანას ვარჯიშობა. ჩქარა ისევ დაიგრილა ზარბაზნებმა, ისევ აზანზარდა სახლები, ისევ ჩამოცვივდა მინები წკრიალ-წკრიალით.

სალამოს რომ ატყდა, დილამდის გრძელდებოდა სროლა. დილას გრიცკო არ დაბრუნდა. თავისი ჩანთაც კი დარჩა. ოქსანამ ჩანთა დაათვალიერა. ორი ყუმბარა, სავარცხელი, ჭრილობის შესახვევი პაკეტი და პუშკინის ზღაპრების წიგნი ამოალაგა. ოქსანამ ყველაფერი ისევ ჩანთაში ჩააწყო, შეინახა და ქუჩაში გავიდა. ქუჩა მოლუმული იყო და ხალხი ვაკრეფილი. ქუჩის თავში თეთრები გამოჩნდნენ. თეთრები ღრიალებდნენ:

ეხუხოთ არაყი,
ვხოცოთ წითლები,
გავანადგუროთ
ბოლშევიკები...

—შოლომ ხაიფეც! სად არის შოლომ ხაიფეც?..—მოისმა მეორე დიღუპის ხმა და ხანას ეზოში.

ოქსანა გამოვარდა ეზოში. ძია შოლომას სახელოსნოსთან ოთხი ოფიცერი იდგა. შოლომს ეძახდნენ. გამოჩნდა შოლომი ხელში მაკრატელი ეკირა. მზრებზე კოლენკორის არშინი ჰქონდა გადაკიდებული.

—შოლომ ხაიფეც შენა ხარ?—ჰკითხა ერთმა ოფიცერმა.

—მე ვარ, ბატონო! და შოლომმა სათვალეები მოირგო. —ხელები დაუშვი ძაღლო!—დაუყვირეს ოფიცრებმა და ერთმა მათრახი სწყვიტა, —ურია! გაშვდი ოფიცრის წინ! შოლომი გაშვდა.

—შენი შეილი სადაა?

—არ ვიცი, ბატონო!

—კომისარი იყო, ხომ?

—არ ვიცი, ბატონო!

—როგორ არ იცი, შე ძაღლო!—და მათრახმა ისევ გაიშხულია შოლომის ზურგზე.

—მობრუნდი!— და ისევ მათრახი.

—მობრუნდი!— და ისევ მათრახი. შოლომი კანკალებდა და გამოტანჯული თვალეებით იყურებოდა. ოქსანა იდგა და ცახცახებდა. ბრაზი მოეპოვებინა ყველში. ტრემლები წამწამებზე დაეკიდა.

—აი, რას გეტყვი, კომისარის მამავ!—უთხრა ერთმა ოფიცერმა!—ტყავის ქურთუკი შემიკერე. სალამოს მოვალთ, და თუ მზად არ იქნა, ტყავს ვაგაძრობთ. გესმის?—და ისევ სწყვიტა მათრახი.

—მესმის!—უპასუხა ძია შოლომმა.

ოფიცრები წაეიდნენ.

დატრიალდა მთელი ეზო. ყველა ეხმარებოდა ძია შოლომს. ოქსანამ მთელი ქალაქი მოირბინა და ღილები იყიდა. ყველა შეუძლებელზე მუშაობდა. არავის უსადილია იმ დღეს ეზოში, მაგრამ ქურთუკის შეკერვა მაინც ვერ მოესწრა.

5

მზე გადაიხარა. ეზოში ოთხი ოფიცერი შემოვიდა.

—ის ერთი კაპიტანია, —აუხსნა ოქსანამ ფანჯარასთან მომდგარ დედას. —ესენი პორუჩიკები. შე პაგონებით ვიცნობ, გრიცკომ მასწავლა. უი, მთვრალეებია...

—შოლომ ხაიფეც!—გაისმა კაპიტნის მთვრალი ხმა,

სახელოსნოს კარებში ძია შოლომი გამოჩნდა.

—ქურთუკი!—ბრძანა კაპიტანმა.

—არაა მზად...—უპასუხა კანკალით შოლომმა.

—მზად არაა?—გაუკვირდა კაპიტანს. —გამო გარეთ!

შოლომი ძლივს გამოვიდა გარეთ. მთელი ეზო შექუჩდა.

—მაშ, შენ აშბო არაა მზად?—დაცინით ჰკითხა კაპიტანმა.

—ვერ მოვასწარი, ბატონო! მოხუცი ვარ. ხელი მიკანკალებს.

—რომელი ხელი?

შოლომმა ასწია მარჯვენა.

იელვა კაპიტნის ხმაღმა, და შოლომის მარჯვენა ხელიდან სისხლი თქრიალით წამოვიდა.

შოლომმა ყრულ დაიკენესა, მარჯვენა ხელზე მარცხენა იტაცა.

—მარცხენა არ გიკანკალებს?—და ერთმა პორუჩიკმა სიგრძისად ჩამოჰკრა ხმალი მარცხენაზე.

კიდევ ითქვიალა სისხლმა.

შოლომმა წამოიჩოქა.

— ადექ! ადექ, შე კომისრის მამავ!

— ადექ! ადექ, შე ბოლშევიკო!

და ოთხმა ხმაღმა ზედიზედ იელვა
შოლომის ზურგზე



ხალხი გაიკრიფა. ბავშვები კივლით
შეცვივდნენ სახლებში. ყველას თვალი
ფანჯრებს მოადგა.

— შენ ყური გაქვს გრძელი. უნდა
დაგიმოკლო! თქვა კაპიტანმა და ქვემო-
დან აპკრა ხმალი, მარჯვენა ყური ჩამოაცალა.

შოლომმა დაიგმინა და შეჰბლავლა;

— მომკალით! ბარემ ერთბაშად მომკალით! რას მაწამებთ?

— ერთბაშად შენც გაგინარდება, — ვადანიხარხარეს ოფიცრებმა.

კაპიტანმა ამოიღო სურათი, ცხვირთან მიუტანა შოლომს და ჰკითხა:

— იცანი?

შოლომს თვალები გაუბრწყინდა, შესძახა:

— ჩემი შვილია! ჩემი მენდელი!

უნდოდა სურათის ჩახუტება გულში, მაგრამ ხელი ვერ ასწია.

— შენი შვილი... ძალღო! ჰო, შენი შვილი... პოლკის კომისარი... უუპხ მაგისი...
კაპიტანმა სურათი ხმლის წვერზე წამოაგო და შოლომის მკერდს მიაბჯინა.

— თქვი, რომ შენი შვილი, ძალღია...

— არა, ჩემი შვილი ბოლშევიკია! მტკიცედ თქვა შოლომმა
ოფიცრებს გაუკვირდათ და ერთმანეთს გადახედეს.

— ამას უყურე... — და კაპიტანმა ხმალს დაპკრა.

— ოოჰხ! — ამოიოხრა შოლომმა.

— ურის სისხლით ხმალს, ნუ შებილწავ, ბატონო კაპიტანო! — უთხრა ერთ-
მა პორუჩიკმა კაპიტანს. — მივაყენოთ კედელს და ვამღეროთ მეფის ჰიმნი.

შოლომი მიაყენეს ყრუ კედელს. ოფიცრებმა დაიხიეს, ამოიღეს რევოლვერ-
ები, დაუმიზნეს შოლომს.

— ივალობე მეფის ჰიმნი! ჩვენ დავსთვლით თორმეტამდის. ივალობებ კარ-
გი არა და კაპუტ!

და კაპიტანმა დაიწყა:

— ერთი... ორი... სამი...

ოკსანას სისხლი აუვარდა თავში. შევარდა ოთახში და თვალის დახამხამებამ
ეზოში გაჩნდა. ნელა, ფხვკრეფით მიეპარა ოფიცერთა ჯგუფს.

— ცხრა... ათი... — ისმოდა კაპიტნის ხმა. — თერ... თმე... ტი... თორ... მე...

უცებ ოკსანამ ხელი ასწია და ოფიცრებისაკენ დასწია.

შეინძრა ყველაფერი. აზანზარდა სახლები. წკრიალ-წკრიალით ჩამოცვივდა
მინები. ჰაერში სქელი კვამლი ავარდა.



როცა კვალი გაიბნა, დაინახეს: ოთხი ოფიცრისაგან მხოლოდ ნაფლეთები იყო მიწაზე.

ხოლო ოქსანა ეუბნებოდა ძია შოლომს:
— პირველი თუ არ გასკდებოდა, მე მეორეც მქონდა...აი...
და რისხვით ასწია მეორე ყუმბარა.
ყუმბარაც ჰგავდა შეკუმშულ რისხვას.

ეს ამბავი მართლა მოხდა უკრაინაში, 1919 წ. მე მხოლოდ სახელი გამოვეუცვალე მომქმედ პირებს. ოქსანა დღესაც ცოცხალია, ინჟინერია და მოსკოვში ცხოვრობს.

ი. აჭალიძე

ოქტომბერი

მე ვარ ოქტომბრელი,
მე არ ვიცი დაღლა
და ოქტომბრის დროშა
მიმაქვს მაღლა, მაღლა.

* *

სწავლაში ვარ მუყაითი,
მიყვარს შოთას წიგნი

და მშობლიურ დიდ სტალინის
საქმე, ზრუნვა, ფიქრი.

* *

მათ გავვისწესე ცხოვრების გზა,
შეგება მოგვეცეს ყველას,
ორივე დვას მსოფლიოში,
როგორც ცისარტყელა.



(ისტორიული მოთხრობა)



I

რი ათას ასი წლის წინათ კუნძულ სიცილიაში აუარებელ მონას მოეყარა თავი. ამ კუნძულის სანაპიროებს ხმელთა შუა ზღვის ცელქი ტალღები უხვად სცემდა და მათ შხუილს მრავალი მონის კვნესა-წამება უფრთღებოდა.

ერთ საღამოს კატანას ნავსადგურს ვეშთა ქარავანი მიადგა, რომელთაც წინ რომაელთა სამხედრო გემი მიუძლოდა.

— მონები მოყავთ, მონები! — გაისმა ხალხში ხმა და პატარა ნავსადგურს აუარებელი ხალხი მიაწყდა.

კატანაში მონების შეხვედრა თითქოს გასართობი იყო, ამიტომ დიდი და პატარა ერთმანეთში ბუზებივით ირეოდნენ.

ნიჩბიანი გემები ნაპირს მიადგნენ და ხელოვნურად გაკეთებული ფიცრული აივნის პირდაპირ ჩამწკრივდნენ. კაპიტანმა მეზღვაურებს მისცა განკარგულება ზღუდეები დაეშვათ. გემებზე დაიწყო ფუსფუსი და ხმაური. მეზღვაურებმა კაპიტნის განკარგულება შეასრულეს.

— მოყავთ საბრალონი, მოყავთ, — გაისმა ხალხში ხმა და ყველამ გემებისაკენ დაიწყო ცქერა,

— მალე, ძაღლებო, ნუ აგვიანებთ, ჩქარა გადაეთრით! — დაიღრიალა კაპიტანმა და ჯარისკაცებს ხელით რაღაც ანიშნა.

მონებს ჯარისკაცები ვარს შემოერტყნენ და ნაპირზე გადმოსვლა უბრძანეს. ღონემიხდილი და მშვიერი მონები ზანტად წამოიშალნენ და გემებიდან სათითაოდ დაიწყეს გადმოსვლა.

— რას მილოდავ, ფეხი გაადვი, შე ძაღლო! — მოისმა უფროსის ხმა, რომელსაც ხელში დიდი შუბი ეჭირა.

ამ მონებში განირჩეოდა ერთი ახალგაზრდა, რომელსაც დაღლილობა ეტყობოდა და ფეხებს ძლივს მიათრევდა, ჯარისკაცმა შუბი ამ ახალგაზრდას მოუქნია და ფეხებში გაართყა.

— ოხ, რა ღლეში ვარ, — წაიბუტბუტა საბრალო ახალგაზრდამ და თვალს არ ამორებდა ნაპირზე მდგომ ბრბოს, თითქოს მათგან მოელოდა შეველას.

— ნეტავი ვინ არის ეს მშვენიერი და ახოვანი ახალგაზრდა? — მოისმა ხალხიდან ვიღაცას ხმა.

— საბრალო! — თქვა მეორემ. შეიძლება კიდევ რამე ეთქვათ, მაგრამ ჯარისკაცმა მოლაპარაკების მრისხანედ გადახედა და ისინიც გაჩუმდნენ.

მოყვანილ მონებს შორის ეს ერთი ახალგაზრდა მართლაც ყველასაგან განირჩეოდა. იგი რომაელებმა სელევეკიდების სახელმწიფოდან წამოიყვანეს. ეს იყო სირიის ჯარების ერთ-ერთი სარდალი, რომელიც რომაელთა შესყვისაგან სამ-

შობლოს იცავდა. ახლა კი საბრალლო ვენი მონად აქციეს და ამიტომ იყო, იგი ყველას ყურადღებას იქცევდა.

როდესაც ვენი გემიდან ზანტად გადმოდიოდა, ჯარისკაცმა მას შუბის ტარი ჩაარტყა.

— ო, მტარვალო... მტარვალბო!... — ჩუმად ჩაილაპარაკა ევნმა და სიარულს მოუჩქარა. ძნელი იყო იმის წარმოდგენა, თუ რამდენად შეურიგდებოდა ვენი მონათმფლობელთა ბატონობას, აიტანდა თუ არა იგი მონის მძიმე უღელს.

მონათა ამ ჯგუფს ქალაქ ენის მონათმფლობელი დამოფილი მოელოდა, რომელსაც კატანაში მონების მისაღებად თავისი წარმომადგენელი ვაგვზუნა. წარმომადგენელმა კატანაში ჩაყვანილი სირიელი მონები შეიყიდა და მეორე დღესვე ქ. ენისაკენ გაამგზავრა.

ქალაქი ენა შუაგულ სიცილიაში მდებარეობდა, ამიტომ მონებს ორ კვირაზე მეტი უნდა ევლოთ, რომ დანიშნულ ადგილზე მისულყვენ.

დამოფილის წარმომადგენლის განკარგულებით მონებს ხელეგში ბორკილები გაუყარეს და თავდგმურებს ჩააბარეს.

ზაფხულის პაპანაქება იყო, როდესაც სირიელი მონები შორეულ გზას გაუდგნენ. ბევრი მონა შიმშილისა და დაღლილობისაგან გზაზე გარდაიცვალა. ვენი კი თავს ჯერ კიდევ კარგად გრძობდა და ამაყდაც იქცეოდა.

სამშობლოს მედგარი დამცველი ვენი სამარცხენო ორმოში მოექცა, მაგრამ ამას არაფრად ავლებდა.

სირიელ მონებს გზებზე აუარებელი ლატიფუნდია ¹⁾ ხედებოდათ, სადაც მონები პირუტყვულ შრომას ეწეოდნენ.

ორი კვირის საშინელი მოგზაურობის შემდეგ სირიელმა მონებმა ქ. ენას მიადწიეს. ისინი დამოფილის სასახლის ეზოს წინ გააჩერეს. დამოფილმა მონებს შორიდან თვალი გადააყლო და თავდგმურს რალაცაზე დაუწყო ლაპარაკი. დამოფილი განსაკუთრებით ენს მიაშტერდა, ვითომც მისგან რალაც საფრთხეს მოელოდა.

დამოფილის განკარგულებით სირიელი მონები დააწყვეს და მონათა საერთო მიწურ ბინებში წაასხეს. მათგან ვენი გამოყვეს, მას ბორკილები ფეხებშიაც გაუყარეს და სხვა სადგომში წაიყვანეს.

II



ალაქი ენა მთის კალთებზე მდებარეობდა, რომელსაც ვარშემო ეკრა მშვენიერი მოსავლიანი დაბლობები. ამ დაბლობებზე მრავალი ლატიფუნდია გადაკომულიყო, რომლებიც ქ. ენას მონათმფლობელებს ეკუთვნოდათ. ამ ლატიფუნდიების მონებში სირიელ ენს დიდი გავლენა ჰქონდა. როგორც მონები ამბობდნენ, ენს შეეძლო სიხარების ასნა და ავრეთვე წინასწარმეტყველება. ეენი, თურმე, პირში ინახავდა კაკლის ნაჭუჭებს, რომლების შუა ცეცხლის მუგუზალი ჰქონდა ფოთლებში გახვეული. საჭიროების დროს ეენი პირიდან ალს უშვებდა და დამსწრეებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

ვენმა თავისი მოხერხებით და სიამაყით დიდი სახელი მოიხვეჭა.

¹⁾ მონათმფლობელების დიდი მამულები, რომლებსაც მონების საშუალებით ამუშავებდნენ.

ქ. ენაში ყველაზე მკაცრი და რეგვენი ევნის მონათმფლობელი დამოფილი იყო, ოვი მონებს ხშირად სცემდა, სტანჯავდა და მისი მსხვერპლი არა ერთჯერ მონა შეიქნა. სიმკაცრეში დამოფილს არც მისი მეთულე მეგალიდა ჩამოუყვარდებოდა.

ევნი ყველაფერს ხედავდა და მოუთმენლად ემზადებოდა თავისი მტარვალე-ბის წინააღმდეგ. ერთხელ ევნის მოწოდებით დაიწყო მონების აჯანყება დამოფილის წინააღმდეგ.

— ძმებო მონებო, გავანადგუროთ ჩვენი მტრები და თავს ვუშველოთ! — მიმართა მონებს ევნმა მოწოდებით.

ევნის მოწოდებას ოთხსაზე მეტი სოფლის მონა გამოეხმურა. ქ. ენის ხელოსნები კი ევნის განკარგულებით აჯანყებულ მონებს იარაღს უმზადებდნენ. ამრიგად სიცილია მონათა აჯანყების ალში გაეხვია.

— ევნი ჩვენი გმირია, ის არასდროს ფარხმალს არ დაყრის, — ამბობდნენ აჯანყებული მონენი და ბრაზმორყულნი არბევდნენ ლატიფუნდიებს.

პირველად აჯანყებულები დამოფილს ეწვივნენ.

— მოიყვანეთ ძაღლები და ხელ-ფეხი შეუკარით! — გასცა ევნმა განკარგულება. ბრძანების გაცემისთანავე ოთხი შეიარაღებული მონა დამოფილს თავზე წამოადგა.

— შემობრალეთ... ნუ მომკლავთ... სიციოცხლე მაჩუქეთ! — ღრიალებდა შეშინებული დამოფილი.

— არა, არა... მტარვალო, გეყო მონების სისხლის სმა. დროა სიციოცხლეს გამოესალმოთ! აბა, შეგკარით, გამოიყვანეთ! — გასცა ევნმა განკარგულება. მონებმა მესივე შეუკრეს დამოფილს ხელ-ფეხი.

— მიშველეთ, მიშველეთ... ნუ მომკლავთ, — ღრიალებდა დამოფილი.

ოთახის კუთხეში მიმალულიყო დამოფილის ქალიშვილი და თვალებიდან ცრემლებს აფრქვევდა.

გულმოსული და აღელვებული ევნი ერთ წუთს შეჩერდა, უცბად დამშვიდდა, ბავშვს მიუახლოვდა, აღერსით თავზე ხელი დაუსვა და უთხრა:

— გოგონავ, შენ ხელს ვერაეინ გახლებს. მე ვიცი, რომ შენ მონები გებრალეობდა, მახსოვს ისიც, რომ მტარვალ მაშაშენს ემუდარებოდი, რათა მონები არ ვაეწვალეინა.

— აბა, ბავშვს მოუარეთ, ხელი არავინ ახლოს და უცადეთ ჩემს განკარგულებას! — გასცა ევნმა განკარგულება და დამშვიდებული ბავშვი მონა ქალს ჩააბარა. ახალი დალაშქებული იყო, როდესაც აჯანყებულებს თავი ქალაქის თეატრში მოეყარათ. ყველა ნერვიულობდა, შეიარაღებულ მონებს თეატრში შემოყავდათ.

ბორკილებგაყრილი მონათმფლობელები. შემოიყვანეს დამოფილი და მეგალიდაც.

— მოკალით! მოკალით ვერაგები! — ისმოდა ყოველი კუთხიდან მონების ხმა. დამოფილი და მეგალიდა მონებმა თეატრის ეზოში ქვებით ჩაქოლეს.

დამოფილის კეთილი პატარა ქალიშვილი ევნის განკარგულებით ქ. სეგესტაში გაგზავნეს ნათესაებთან და დაავალეს მისი მოვლა-პატრონობა. გაპარჯებულიმა მონებმა სიცილიაში თავისი სახელმწიფო შექმნეს, რომელსაც ევნი ხელმძღვანელობდა.

მონათა ეს სახელმწიფო ხანმოკლე გამოდგა, ვინაიდან სიცილიის მონათმფლობელებს დახმარება რომის მონათმფლობელებმა გაუწიეს. ევნი რომაელებს შეებრძოლა და მისი რაზმი თავგამოდებით იცავდა თავს. ევნი დეცა ბრძოლის ველზე, მაგრამ მისი სახელი დაუვიწყარი დარჩა.

ბაბბბა



არფუნის ბოლოს, სადაც ტრამვაი წრეს აციტებს, ცხოვრობდა მეეტლე გაბრიელი. ერთი ოთახი გვავა. მარტოხელი იყო და შერი არც უნდოდა. თუ დარი იდგა, ეზოში მუდამ ეტლს დაინახავდით, ხელნა ანძისავით რომ ჰქონდა ზემოთ აშვერილი. გულკეთილი იყო მეეტლე გაბრიელი, ეზოს ბავშვები სულ ეტლთან თამაშობდნენ.

შუადღისას შზიან დარში ძია გაბრიელი გამოიყვანდა თავლიდან ორ წაბლისფერ ულაცს, მიუაღერებდა მათ, გავახე ხელს ვაღუსვამ-

და, შემდეგ ვადაჯღებოდა რომელიმე მითგანს უბელო ზურგზე და ვაასწვდა.

ქიშკარს მეგზოვეს ბიჭი ისმაილა ვაუღლებდა. ცუდლუტი იყო ისმაილა, დარაჯობდა ძია გაბრიელის გამოვლას, უყვარდა ცხენზე ჯდომა და მეეტლეს მიძახებდა ხეწნით:

— ბიძია გაბრიელ, წამოვიდე?!

— წამოდი, ისმაილ, შეეჯექ! — ჩაილაპარაკებდა კეთილი მეეტლე და თავისუფალი ულაცის სადავეს მისცემდა ბიჭს. ისმაილა თვალის დახამხამებაში მოახტებოდა ცხენს და კმაყოფილი საუბარს ვაუბამდა ძია გაბრიელს.

ისმაილა ყოველთვის ასწრებდა მეეტლეს ტანის ვახდას, ის პირველი შევადებდა ულაცს მღერიე მტკვარში. ფრუტუნებდა ცხენი და სურავდა, ისმაილას სიხარულს კი საზღვარი არ ჰქონდა.

ძია გაბრიელი ღრმად არ შედიოდა მდინარეში, ნაპირთან აბნავებდა ცხენს, ვულმოღვინედ ასხამდა წყალს ჰეშვებით და უსვადა ხელს.

შინ გვიან ბრუნდებოდნენ.

გაბრიელი გვიანობამდის ვულმოღვინედ წმენდდა ეტლს, სათითაოდ აცილიდა მტვერს თვლებს, დახეთავდა, საჯდომ ბალიშებს ვაასწორებდა და წასახლეულად ვაამზადებდა. საღამოთი ეტლზე ფარნებს კობტად დაამაგრებდა, მუდამ პრიალა ჩექმებით, თავზე ბეწვიანი ქუდით, ჯდებოდა შიგ და მიდიოდა ქალაქში სამუშაოდ.

ღამით უხდებოდა გაბრიელს მუშაობა, ბინაზე გვიან ბრუნდებოდა — ორზე, ხან კიდევ ოთხზე და ხშირად კი ვათენებისას...

უწყინარი კაცის სახელი ჰქონდა ეზოში გაბრიელს. ყველანი ემადლიერებოდნენ. მეჯობრობით კი მხოლოდ ერთს ბორჩალოელ ვამიდას მეგობრობდა, თუმცა მეგზოვე ვამიდასაც არ იცოდა, თუ ვინ იყო გაბრიელი ან საიდან მოსული.

— მეეტლე გაბრიელს ცოლშვილი დახოცია, — ამბობდნენ ეზოში მცხოვრები ქალები, მაგრამ არავინ არ იცოდა, ეს რამდენად მართალი იყო.

17 წელი ცხოვრობდა ის ამ ეზოში და იცნობდნენ მხოლოდ როჯორც მეეტლეს.

— სრასტი, ყარდამ გაბრიელ, როგორა ხარ, ზნაო?! — მოიკითხავდა ვამილა, როცა ბინის წინ გრძელ სკამზე ჩამოშჯდარს დაინახავდა მეეტლეს.

სულ ოთხი წელია, რაც ვამილა ბორჩალოდან მოვიდა, ქართული კარგად არ იცოდა და საუბარში ურეგლად ხოლმე.

— ვამილაო, ჩემო ვამილ, მოდი, დაბრძანდი! — უპასუხებდა. მოკითხვაზე კეთილი მეეტლე. შემდეგ ისინი საუბრობდნენ მუშტარზე, თივისა და ქერის მახანდაზე. მეგზოვე ხშირად ცირკზე ჩამოვადებდა ლაპარაკს და იქ ვამართულ ქიდაობაზე, რომელიც ძლიერ უყვარდა. ვამ-

ბიელს ცირკი არ აინტერესებდა, მაგრამ ამხანაგისთვის რომ არ ვწყენინებია, გულდასმით უსმენდა. ზოგჯერ ღვინოსაც ერთად სვამდნენ...

ერთხელ ცხენები მტკვარში აბანავე ძია გაბრიელმა, ეტლი გარეცხა. საჭმეს რომ მოზარე, მეგზოვეს ვაფი ისმია იმით, ღვინო, პური, მწვანილი და თევზი მოატანინა დუქნიდან, სუფრა გაშალა და გამიდას დაუძახა.

დასტდნენ მეგობრები და მდიდარი შეექცნენ. სუფრას ამშვენებდა წითელი ბოლოცი, წიწვოვანი თარათის ნაკრები და ორიოდ ბოთლი კახური.

გაბრიელი ამბობდა: მეგეტლევა უსტაბაშმა წინადადება მომცა, არტელში ვაპირებ შესვლასო.

მეგზოვემ განზრახვა მოუწონა და არტელში შესვლა ურჩია. მეგეტლე ქადა, ღვინოს არ ეძალუბოდა, მაგრამ კახურმა თავისი ქნა და მალე ორივე ააბლბილა. გამიდა რომ შეზარხოშდა, ქიდაობაზე წმობიწყო საუბარი.

— ზნაო გაბრიელ, ბური ზან მოქიდავეა... — ამბობდა მეგზოვე და მოუთხოვობდა, თუ მან როგორ აიტაცა პერში ვილაც მოქიდავე და წუთში როგორ დასცა.

მთვრალი მეგეტლე ქადა და უსმენდა, ზოგჯერ ცირკის საოცარი ნომრების შესახებ შეგკითხობოდა რაიმეს, მეგზოვეც ხალისიანად პასუხობდა.

დიდხანს ყბოვობდა გამიდა, სადღეგრძელოები შემოვლია და ღვაპარაკს უკლაო.

უკანასკნელად მეგეტლელი ტიქა ხელში ეჭირა, მაგრამ ვერა მოეგონებია რა, ბოლოს თავი მიღლა ასწია, მეგობარს მიაჩერდა და თქვა:

— ზნაო გაბრიელ, ეგ შენ ცოლშვილს გაუშარჯოს, — კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაცა მეგზოვეს, მაგრამ მოაგონდა, რომ მეგეტლეს ცოლშვილი არ ჰყავდა, შერცხვა და გაბრიელს რომ შეხედა, შეამჩნია, რომ მეგობარი შეაკრთო მისმა სიტყვებმა და გამოაფხიზლო.

გაბრიელი თვალმგავანირებულად იღვა, შემდეგ თავი ჩაღუნა და არა უთქვამს რა.

II



უხელ მთელი დამე ხმაურობდა სახლის სახურავზე მისის შხაპუნა წვიმა, მთაწმინდიდან მოხეტოქილმა ნიაღვრებმა ტრამეის ხანები დაფარა და დასწია. მოძრაობა შეწყდა. ეტლებს დიდი გასაყალი ჰქონდა, ამიტომ ოთხ საათზე დაბრუნდა შინ მეგეტლე გაბრიელი.

გათენდა მისის ღვაპარაკი და კრიალა დილა. ცხენის კიბეებმა გვიან გამოაღვიძა ძია გაბრიელი. წამოდგა და ხანტად გაემართა თავლისკენ.

ხელბირს იბანდა მეგეტლე, სახეზე საპონი ჰქონდა წასმული, როცა ვილაცამ ეზოში მისი სახელი და გვარი ახსენა.

— გაბრიელ ნარიაშვილი აქ ცხოვრობს? — თქვა უცნობმა. გაბრიელმა რამდენიმე პეშვი წყალი სახეზე შეისხა, საპონი მოიცილა და მის წინ მილიციელი დაინახა.

— მესამე უბნის მილიციის სამმართველოში ციხარებენ, — უთხრა მილიციელმა და უწყება გადასცა.

— რატომ, თუ იცი, ჩემო ძნაო? — შეეკითხა მეგეტლე.

— არ ვიცი, ამხანაგო! — უბასუხა მილიციელმა, პორტფელი დახურა და წავიდა.

ძლიერ დაინტერესდა მეგეტლე, ვერ გავგო, თუ რატომ იბარებდნენ, ვერ ისვენებდა, ცხენებს დამატებით თივა დაუყარა, სუფთად ჩაიკცა, ეზოში თავშეყრილი ბავშვები გააფრთხილა: ეტლს არ მიეკაროთო, და მილიციისკენ გაეშურა.

წვიმიტ გადარეცხილი ასფალტის კუჭები მზეზე პრიალებდა. გრგვინით და ხმაურით მიჭროდნენ ტრამეის ახალი ცისფერი ვაგონები. ავტომობილების სირენები გაბმული ხმით აფრთხილებდნენ მოქალაქეებს.

დინჯად მიამიჯებდა ძია გაბრიელი და ათელიერებდა ქალაქს...

სამილიციო უზნის უფროსის კანინეტი რომ შეიღო მეეტლემ, მაგიდასთან მჯდომმა ქვინა ახალგაზრდამ ტელეფონის მილი დასლა და უთხრა:

— მობრძანდით, ამხანაგო! დაბრძანდით!

მეეტლე ახლო მივიდა, საღამო მისცა და იქვე დადგა.

— დაბრძანდით, ამხანაგო, — გაუმოვრა ახალგაზრდამ. გაბრიელი უხერხულად ჩამოჯდა და სკამზე, უწყება გადასცა და უთხრა:

— მე გაბრიელ ნარიყაშვილი ვარ, მეეტლე, უწყება მივიღე, რატომ მიზარებდით, ამხანაგო!

— ნარიყაშვილი?! ძალიან კარგი! — თქვა უფროსმა, დაფიქრდა და პაპიროსს რომ მოუყიდა, შემდეგ დიდი ხნის ნაცნობივით განაგრძო:

— სრულიად უბრალო საკითხისათვის... ამხანაგო გაბრიელ, მილიციამ უნდა იცოდეს შენი ვინაობა... რამდენი წელია შენ აქ ცხოვრობ, ნათესავები თუ გყავს... ან საიდან ხარ? აი ამიტომ.

გაბრიელი დაფიქრდა, წუხდა რაღაც, კარგახანს იდგა და შემდეგ თქვა:

— მიინც ვისთვისაა, ამხანაგო უფროსო, ჩემი ვინაობის გაგება საჭიროა... ერთი უთვისტო-მო კაცი ვარ, მეეტლე!

— ჰო... საჭიროა, ძლიერ საჭიროა. ჩვენს ქვეყანაში უთვისტომო არაფერია... ჩვენ უნდა ვიცოდეთ შენი ვინაობა! ამხანაგო გაბრიელ!

მეეტლე უხერხულად უსვამდა ხელს ფიჯაკის ღილის, არ იცოდა საიდან დაეწყო.

— მე, ამხანაგო უფროსო, დეკაბრისტების ქუჩაზე № 12 სახლში ვცხოვრობ 17 წელია, მეეტლე ვარ... — თქვა და ისევ გაჩუმდა გაბრიელი.

— კოლშვილი არა გყავს, ამხანაგო გაბრიელ?! —

— მყავდა, მაგრამ ახლა არა მყავს!

— შენთან არ ცხოვრობენ, თუ დაიხიციან?

— დიახ, დაიხიციან, ამხანაგო უფროსო! ეს იყო 1919 წელს. საქართველოში მენშევიკები ბატონობდნენ, მაშინაც მეეტლე ვიყავი, ავღაბრელი ვაჭრის დღემგლაშვილის მეეტლე. ბინა მანვე მომცა თავისი სახლის ქვედა სართულში. ლუკმაჭურის ძლივს ვშოულობდი, ცოლი მშველდა, მთელი ღამე ხელების დაწყვეტამდე საცელებს ურეცხავდა მებოზლებს, რაღაც კაპიცივებს ღებულობდა...

ერთ დღეს თქვენს საქართველო და სომხეთი ომობენო, მეც ვამიწვივს, ცოლი მანუგეშებდა, გავირჯები და ბაკშევებს შიმშილით არ მოვკლავო.

სალამოს ჩაგვყარეს ვაგონებში. ახლადმოსპრჩენი ქალი და 9 წლის გოგონა მაცილებდნენ. რა ვიციდი, თორმე უკანასკნელად ვხედავდი მათ. მატარებელი დიძრა. ფრანტი სადაბლოსთან იყო... რომ დღებოინდი, მეზობლის ქალმა მიამბო, მეორე დღესვე ვაჭარმა თქვენებს ბინა დააკლევინაო. სადღაც საბურთალოზე ვშოვა ჩემს ცოლს ერთი ქოხმხი. ერთხანს იქ ვცხოვრათ. მშობიარობის დროს გაცივებულყო და ბავშვს თან გადააყოლოდა. ბავშვები დედის სიკვდილის შემდეგ მათხოვრობდნენო. ბევრი ვეძიე დაკარგული შვილები, გზა-კვალს ვერ მივიგენ, მიმძიხს მოგონება, ამიტომ ვფრიდებო, ამხანაგო უფროსო... მის შემდეგ 18 წელი ვავიდა.

— ახლა, ამხანაგო გაბრიელ, მარტო შენ ცხოვრობ, არა!

— დიახ, მაქვს პატარა ბინა, ეტლი და ვმუშაობ.

უფროსი ცოტახანს თითებს ნერვიულად ათამაშებდა მაგიდაზე, შემდეგ პორტსივარი ამოიღო, გაბრიელს მიაწოდა პაპიროსი, თითონაც მოსწია და თქვა:



— ამხანაგო გაბრიელ, ერთი კვირის უკან ქ. ორჯონიკიძის მილიციის სამმართველომ მოგვცა დავალება — გამოგვერკვია, ჩვენ სამილიციო უბანში თუ ცხოვრობდა ვინმე ნარიყაშვილი. ჩვენ დადებითად ვუპასუხეთ. გუშინ სამხედრო გზით ქ. ორჯონიკიძიდან მოვიდა დამა, რომლებიც სასტუმროში დაბინავდნენ, ინჟინერი ქალი და ყმაწვილი ექიმი. მათ გეტხოვეს გამოგვეძახა უბანში მცხოვრები ყველა ნარიყაშვილი. ისინი ნათესავეს ეძებენ. ჩვენ ავასრულეთ დავალება, უბანში მხოლოდ ერთი ნარიყაშვილი აღმოჩნდა, ეს თქვენა ხართ!

უფროსი მაგიდის ღილს შეეხო, და ელექტროზარი აწკარუნდა. კარები რომ გაიღო, უმცროს თანამშრომელს გადასცა: ორჯონიკიძიდან მოსული სტუმრები მობრძანდნენო.

„ვინ ნათესავეები უნდა იყონ? — ფიქრობდა მეეტლე, ამ ქვეყანაზე ათასი ნარიყაშვილია, მე ვის რათ უნდებარა? — პაპიროსის კვამლში გახვეულ გაბრიელს ფიქრისთვის ხავეი ვერ გაერთმია.

— ეს ახალგაზრდები მენშევიკების თარემის დროს გაქცეულან, მაშინ, სულ პატარებს, თავი იქ შეუფარებოთ, ისე კი ტულისიელები ყოფილან...

მეეტლე გულდასაბით უსმენდა. ნათესავეები მას ქ. ორჯონიკიძეში არაიენ ეგულდებოდა, მთაში, სოფელ ტბეთში კი ამ გვარის ბევრი არის. მაინც ვინ არიან?! კითხულობდა გაბრიელი და ვერ გარკვეულიყო. ხუთი წუთის შემდეგ კარები გაიღო, ორი ახალგაზრდა შემოვიდა, მისვალმენ მათ.

— დაბრძანდით, ამხანაგებო, დაბრძანდით, — თქვა უფროსმა. ცილინდრიანი ფეხი, ახოვანი, ლამაზად ჩაცმული, დის გვერდით იდგა. ქალიშვილი იდგა, სახაფხულო პალტოს ღილებში შეიხსნა და თქვა: — როგორაა, ამხანაგო, უფროსო საქმე?! რა გააკეთეთ ჩვენთვის?

— თითქმის ყველაფერი, ამხანაგო, — ამბობდა უფროსი, — ჩვენს უბანში ერთი ნარიყაშვილი აღმოჩნდა, აი ისი!

მეეტლე დინჯად იდგა და უსმენდა. უფროსი ერთხანს რაღაც უხერხულად ალაგებდა საკანცელარიო საქმეებს, შემდეგ ქალღილემის შეკვრა ამოიღო, გაშალა და წერას შეუღდა.

— მაშ ასე... გვარი, სახელი, მამის სახელი და პროფესია! — მიმართა ვაქს.

— მიზეხილ გაბრიელისძე ნარიყაშვილი... ექიმი... — თქვა ახალგაზრდამ. უფროსმა წერას თავი მიანება, ზევით აიხედა და შეაშინია, რომ მოხუცი შეკრათა... ვაქს დაეინებით უცქეროდა, ყმაწვილიც თითქოს რაღაცას იგონებდა, ვაგი უცებ მოტრიალდა, მივარდა მეეტლეს და ხმის კანკალით წამოიძახა:

— მამა...

— შვილო...

— მამა, მამიკო! — შეჭკივლა ბურუსიდან გამორკვეულმა ქალმაც.

— აი, ბედნიერი შეხვედრას! — ჩაილაპარაკა მილიციის თანამშრომელმა.



ზღმ-ბაბა



(დასასრული 1)

ლიბაბას სიმდიდრეზე რომ 'გუმანი' არავის აედო, იგი განაგრძობდა ძველებურად მუშაობას: დადიოდა ტყეში და თავისი ვირებით შეშას ეზიდებოდა.

დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს ყაჩაღებს.

მოკლულ ყასიმას გვამის დაქარგვამ ყაჩაღები შეაფიქრანა, მიხვდნენ, რომ მათ თავშესაფარს ვილაცამ მიაგნო. გაიფიქრეს, ალბათ მეკლარი ნათესავებმა მოიპარესო. ბელადმა თავი მოუყარა თავის რაზმს და უთხრა:

—მეგობრებო, ჩვენს ბინის მიაგნეს, უნდა სასწრაფოდ ვიმოქმედოთ, უნდა შევიტყუოთ და აღმოვჩინოთ, ვინ გაიგო ჩვენი საიდუმლოება, თორემ ყველანი დავიღუპებით. თქვენს შორის ვინც ყველაზე გონიერი და თამამია, უნდა გადაიკვას მოგზაურის ტანისამოსი და გაემგზავროს ქალაქს. იქ უნდა შეიტყოს ახალი ამბები. ახლა, ალბათ, ქალაქში ხმა გავარდნილა, რომ სადღაც კაცი მოჰკლეს. უსათუოდ უნდა შევიტყუოთ ჩვენ მიერ მოკლული კაცის ამბავი, ვინ ჰყავს ნათესავი და ახლობლები. მერე ჩვენ ვიცით როგორ მოვიქცეთ! რას იტყვით, ამხანაგებო?

ყაჩაღებს ჭკუაში დაუჯდათ მეთაურის აზრი და ერთმა იკისრა ქალაქში წასვლა.

—აი, ეს თავი მომქვრით, თუ ყველაფერი არ შევიტყუო!—

განაცხადა ერთმა ყაჩაღმა, საჩქაროდ გადაიკვა ყარიბის ტანისამოსი და გაუდგა გზას.

დილაადრიანად, როგორც კი ფეხი დაადგა ქალაქის მოედანზე, ყაჩაღს პირველად თვალი მოხვდა ხარაზ მუსტაფას ღუქანი; მუსტაფას ჩეულებად ჰქონდა ადრე ადგომა, ირიქრაებდა თუ არა, მაშინვე შეუღლებოდა მუშაობას.

—მშობილო, გეტყობა, ძალიან კარგად გიჭრის თვალი, რომ ჯერ არ გათენებულა და მუშაობ, — მიმართა ყაჩაღმა ხარაზ მუსტაფას.

—არა მიჭირს რა, თვალის ჩინს ვერ დავემღურები! — უპასუხა ბაბა მუსტაფამ. — ეს რა არის? შენ უნდა გენახა, წუხელ ბნელაში ლუქმალუქმა დაკუწული გვამი რომ შეგვეკრე. ისე იყო დაქუცმაცებული, რომ პატრონიც ვერ იცნობდა. ერთი უნდა გენახა, რა გულდასმით და კობტად ამოვეკმე. ცოცხალს დავამსგავსე.

გაეხარდა ყაჩაღს, რომ ასე იოლად მიაგნო კვალს. შევიდა ხარაზის ღუქანში და ფილაქანზე მოიკეცა.

ბაბა მუსტაფამ დაწერილებით უამბო, რაც გუშინ შემთხვეოდა. თან ტრახახობდა: „თუმცა მორღიანამ თვალახვეული წამიყვანა, მაგრამ მანც კი კარგად

1) დასაწყისი იხ. ჟურნ. „ოქტომბრ.“ № 9



დამახსოვდა ის სახლი, სადაც მიმიყვანეს, სახლის პატრონი კი არ ვიცი ვინ არის.
ყაჩაღმა ორი ოქრო აჩუქა ხარაზს და სთხოვა ის სახლი მიჩვენეო.
ყასიმას გვაძი აღიბაბას სახლში გაიკერა, და ხარაზმაც ყაჩაღს ის სახლი
უჩვენა.

ყაჩაღმა ამ სახლის კარი ცარკით დანიშნა, რომ მერე არ შემლოდათ, რომელი ბინა უნდა აეკლოთ.

დილაადრიანად შორღიანამ, ბახარში რომ მიდიოდა, თვალი მოჰკრა აღიბაბას ალაყაფის კარზე ცარკის ნიშანს, მიხვდა, რომ ვილაცასაგან განგებ იყო დანიშნული, მოსდგა და რაც იმ უბანში კარები იყო, მარჯვნივ თუ მარცხნივ, ყველას ცარკი ჩამოუსვა.

შუალამისას ჩამოვიდნენ შეიარაღებული ყაჩაღები მოკლულის ოჯახისა და ახლომდებრის ასაკლებლად, მაგრამ ელდა ეცათ, როცა ნიშანი ყველას კარზე დაინახეს. ეგონათ, ჩვენმა გამოგზავნილმა ამხანაგმა გვილაღალო. ბევრი არ უფიქრიათ, ადგნენ და თავი გაადგებინეს. ყაჩაღები ხელცარიელნი გაბრუნდნენ.

მეორე დღეს სხვა ყაჩაღი გამოგზავნეს ამბის გასაგებად. ისიც ბაბა მუსტაფას დუქანს მიადგა, ფული შეაძლია ხარაზს და ეკითხებოდა, რომელ სახლში შეეკრე კაცის გვამიო.

ბაბა მუსტაფამ ბევრი არ ახვეწინა, წაიყვანა ყაჩაღი და აჩვენა აღიბაბას ბინა. ყაჩაღმა აღიბაბას კარზე ჩამოსმულ თეთრ ნიშანთან წითელი ხაზიც ჩამოუსვა. შორღიანამ, როგორც წინააღმდეგ, ისე ახლაც შენიშნა ეს საეჭუო ნიშანი და ყველა კარს წითელი ნიშანიც მიუმატა.

ყაჩაღები ხელმეორედ ჩამოვიდნენ, მაგრამ თავისი განზრახვა ვერც ახლა შეასრულეს. მესამე დღეს თეთონ წინამძღოლი ჩამოვიდა. ისიც ბაბა მუსტაფას ესტუმრა. ახლა კი გაუკვირდა ხარაზს, მესამედ რათა მთხოვენ ერთდღივივე სახლის ჩვენებას, რაღაც საიდუმლოება. იქნებაო, გაჯიუტდა და არ უნდოდა სახლი ეჩვენებინა. ფულმა ბოლოს მაინც ვაჭრბ, და ბაბა მუსტაფამ ყაჩაღების ბელადიც აღიბაბას სახლთან მიიყვანა.

ბელადი თავის ხელქვეითებზე უფრო გამჭრიახი და საზრიანი გამოდგა. მან კარგად დაისხომა აღიბაბას სახლის ყოველი ასეულ-დასეული, ყოველი წვრილმანი. წაშალა წინათ დასმული ნიშნები და გაემგზავრა ამხანაგების წამოსაცხანად.

საჭირო იყო აღიბაბას სახლში შესვლა. მაგრამ როგორ და რა გზით? ყაჩაღების წინამძღოლმა ბრძანება გასცა ეშოვათ 19 ჯორი და ოცდათვრამეტი ქვევრი. ბელადის ბრძანებით ცხრამეტ ქვევრში ერბო ჩაასხეს, ცხრამეტში კი თვითონ ჩაძვრნენ. ეს ქვევრები აჰკიდეს ჯორებს, წინამძღოლი ვაჭრულად მოიროთო, გაუძღვა თავის ქარავანს და ჩავიდა ქალაქში. პირდაპირ აღიბაბას სახლისაკენ გასწია. მასპინძელი გარეთ დახვია.

— შეიძლება, ალა, — შეეკითხა ბელადი აღიბაბას, — თავშესაფარი მიბოძოთ? მე შორეული ქვეყნიდან მოსული ვაჭარი ვარ, ერბო ჩამოვიტანე გასაყიდად. არ ვიცი სად გავათხოვ ღამე. ოღონდ ბინა მომეცით და რასაც მომთხოვთ, იმას მოგართმევთ.

აღიბაბამ ვერ იცნო ყაჩაღთა მეთაური და დიდი მოწიწებით შეიპატიჟა თავისთან, საბაღის ჩამოხდაზე უშველა კიდევ. ჯორები თავლაში შერეეს, ქვევრები კი ეზოში გაამწკრივეს. აღიბაბამ ცოლს უბრძანა, ვაზში და ლოგინი მოამზადეო.

წინამძღოლმა მოასწრო და გააფრთხილა ამხანაგები: — ეზოში კენჭებს რომ გადმოვისვრი, მაშინვე ამოძვერთ ქვევრებიდანო.

ყასიმას ცოლი დიდი მადლიერი იყო ალიბაბასი, რომ ქმარი ასე მოხერხებულად დაუკრძალა. მადლობა იმით გადაუხადა, რომ თავისი მოახლე გოგო მორლიანა ანუქა. მორლიანა უკვე ალიბაბას სახლში ცხოვრობდა. დაბინდებისას, ეზოში რომ ჩავიდა, მორლიანამ უფრო მოჰკრა ქვევრიდან კაცის ხმას: „დრო ხომ არ არის?“. გონიერი მორლიანა ხელად მიხვდა ყველაფერს და შეესიტყვა: „არა, ჯერ ადრეა“. მოახლეს ყოველი ქვევრიდან მოესმა შეკითხვა: „დრო ხომ არ არის?“ და ყოველ ქვევრს უპასუხებდა: „არა, ჯერ ადრეა“.



იმ ქვევრებს, საიდანაც ხმა არ ამოდიოდა, მორლიანამ, სარქველი ახადა. შიგ ერბო დაინახა, მიხვდა, რომ ზოგ ქვევრში ერბო იყო, ზოგში კი ყაჩაღები ისხდნენ. დიდი საფრთხე მოელოდა, მაგრამ მორლიანა არ შეშინდა, გადაწყვიტა მარტოკა გამკლავებოდა ყაჩაღებს: ერთი ქვევრი ერბო დიდ ქვებში გადაცალა, წამოადულა და მერე ცხელცხელი ერბო სათითაოდ ჩაასხა იმ ქვევრებში, სადაც ყაჩაღები იმალებოდნენ. ყაჩაღები გაიფუქნენ და ქვევრებში ამოიღრჩენენ.

ამ გმირული საქციელის შემდეგ მორლიანა შეიპარა სამზარეულოში და იქიდან უთავალთვალებდა, აბა, რა მოხდებოდა. როცა სახლში ყველამ დაიძინა, ყაჩაღების მეთაური კარში გამოვიდა ნიშნის მისაცემად, მაგრამ სახტად დარჩა; ჩამიჩუმე არ ისმოდა. შეეხმაურა ყაჩაღებს, მაგრამ ხმა არაფერ გასცა. მაშინ კი მივიდა ქვევრებთან, ახადა სარქველი და ვაი იმ დანახვას, რაც თვალწინ წარმოუდგა: ყაჩაღები გაფუფქულები დახვდნენ. მეთაური მაშინვე მიხვდა, რომ ვილაცამ გაუგო ეშმაკობა, „აბა, ბიჭო, თავს უშველეო“, დაჰკრა ფეხი და გადაემგზა ეზოს კედელზე...

მორლიანამ ყველაფერი დაინახა, ბატონიც კი არ გაუღვიძებია და გახარებული, ყაჩაღებს ვაჯობეო, მიწვა და არხენად მიიძინა.

როცა დილით ალიბაბას გაეღვიძა, გაუკვირდა, რომ სტუმარი ლოგინში აღარ დახვდა. ქვევრები კი ისევ ისე იყო გამშკრივებული. მოიხმო მორლიანა და ჰკითხა:

- რა ამბავია, ვაჭარი არსადა ჩანს და საქონელი კი აქ არის?
- აღავ, ქვევრები ნახე და ყველაფერს გაიგებ! — უპასუხა მორლიანამ.
- ალიბაბამ თავი ახადა ერთ ქვევრს და ელდა ეცა: შიგ მოკრუნხული ადამიანი იჯდა.
- ნუ გეშინიან, — უთხრა მორლიანამ, — ახლა ვგ ვერაფერს დაგეაკლებს... მოჰყვა და დაწერილებით უამბო თავის ბატონს ყველაფერი, რაც გადახდა.

გაწბილებული ყაჩაღების მეთაური მაინც არ ისვენებდა. იგი შურისძიებით იყო ანთებული და ცდილობდა ალიბაბასთვის სამაგიერო გადაეხადა. ხელახლა გადაიკვა სოვდაგარის ტანისამოსი, ჰაჯი — უსენა დაირქვა და ჩავიდა ქალაქს. აქ ბევრი ნაცნობი გაიჩინა. ბოლოს, როგორც იყო, ალიბაბას ვაჟსაც დაუმეგობრდა

ვაჟმა პაჯი — ჰუსეინა შიხ მიიწვია. ალიბაბამ ვერ იცნო ყაჩაღების მეთაური და სადილოდ დაპატიჟა.

ყაჩაღმა გაიფიქრა, ახლა კი ხელიდან ვერ წამივიაო, მაგრამ აქაც ბედმა უმჯობესობა მოუტყუნა. მორღიანამ ყაჩაღების მეთაური დანახვისთანავე იცნო. ვიდრე სტუმარ-მასპინძელი სუფრაზე იხსდნენ, მორღიანამ უცბად მოისაზრა, თუ როგორ გადაერჩინა თავისი ბატონი.

სადილის შემდეგ, როდესაც ყავას შეეჭკეოდნენ, მორღიანამ გადაიკვა მოცეკვავის ტანისამოსი, წელში ბასრი ხანჯალი გაირქო და შევიდა ოთახში სტუმრების გასართობად. მორღიანა ცეკვის დროს ნელნელ მიუახლოვდა სტუმარს, მერე უცბად იძრო ხანჯალი და შიგ გულში ჩასცა. სტუმარმა მაშინვე განუტყევა სული.

— რა ჩაიდინე, შე უბედურო! — შეჰყვირა ალიბაბამ მორღიანას.

— აბა, ბატონო ჩემო, კარგად დააცქერდი ამის სახეს! ნუთუ ვერა სცნობ ამ ყაჩაღების წინამძღოლს? ეს ხომ ის ვაჭარია, რომელიც ერბოს ქვევრებით კარს მოგვადგა.

ალიბაბა დარწმუნდა, რომ მორღიანა მართალი იყო, სიხარულით გადაეხვია თავის შინამოსსა და ნიშნად მადლობისა, თავის ვაჟს შერთო ცოლად.

მორღიანა სიხარულით აღარ იყო, რომ საქმე ასე ვათავდა. დიდი ქორწილიც გადაიხადეს. ალიბაბა გამოუტყდა თავის ვაჟს, თუ სად ინახებოდა ყაჩაღთა ნადავლი.

ვაჟმა ინახულა გამოქვაბული და ნელინელ ეზიდებოდა ძვირფას განძეულს. ხალხს კი ეგონა, რომ ჭკვიანი რძლის მოყვანით ალიბაბას ღარიბი ოჯახი ფეხზე წამოდგაო.

აი, ასე გამდიდრდა ჩვენი ალიბაბა, აი, ასე გახდა მთელ ქალაქში ყველაზე შეძლებული, სახელოვანი და ბედნიერი.

თარგმანი ი. ზრიშაშვილისა

ლილია მებეკიძე

ჩ ე მ ო ვ ა ზ ა რ ა ვ

ნუთუ დიდხანს ვერ გამიგებ
ჩემს გულისთქმას, ჩემო კარგო?
მინდა სიტყვის ზილამაზე
შენს გრძნობებში ამოვქარგო,

რომ გარიქრაჟს ჰვავდეს მულამ
პაწაწინა შენი გული,
ზედ ეწეროს წაუშლელად:
სწავლა, შრომა, სიხარული.

ԲՆՈՒՆԵՆՆ ԵՆՔԵՆԱՅ



Գրություն N. 343049/330103

Moderato.

Piano. *f*





ჩაზოს რლიჩი

ზაფხულში როცა სოფლად ჩავედი, იქაურობა სულ გამოცვლილი მეჩვენა. ერთხელ მშვენიერი საღამო იყო და მზე უკანასკნელად უგზავნიდა სხივებს მწვანით შემოსილ ფერდობებს შორის მდებარე სოფელს. კლამეურნე გლეხები ასწლოვან ცაცხვთან შეკრებილიყვნენ, მათ შუაგულში მოხუცი ზაქრო მეფანდურე იჯდა. ახალგაზრდები შემოხვეოდნენ მას და ვედრებოდნენ ფანდურზე დაამღერეო. ზაქრომაც ჩამოპკრა თითები სიმებს და თანაც დაამღერა:

უძლეველია სტალინი,
 მტერი ველარას ბედავსო,
 თვალნი შორს უჭრის არწივსა,
 ხალხის მტრებს ყველგან ხედავსო.

— ყოჩაღ, ძია ზაქრო, ყოჩაღ! — აქებდნენ ახალგაზრდები და ზაქროც უფრო მეტის ეშხით აჟღერებდა თავის ჩონგურს: წინათ თუ მიწის გულისთვის ძმა შეებრძოდა ძმასო,

დღეს კოლექტივი ზეიმობს,
 ტრაქტორი უწყობს ხმასო.

— სწორედ სირინოზის ხმა აქვს, სირინოზისა! აბა ერთი კიდევ იმღერე, ძია ზაქრო! — მიაძახა ერთმა ახალგაზრდამ.

ჯიბს იალაღი ალაღებს,
 არწივს მაღალი კლდენია,
 ცას — ელვა, მიწას — ყვავილი,
 და ჩვენ — სტალინის გენია.

მღერის ზაქრო სიმღერის ეშხზე მოსული. ცის ლაქვარდზე წყნარად გამოცურდა პირსავსე მთვარე და მკრთალი ნათელი მოშფინა არემარეს.

ძველი დრო მოკვდა, დავმარხეთ,
 ზედ მივაყარეთ მიწაო,
 საბჭოთა ხელისუფლებამ
 ხალხს შეება-ლხენა მისცაო.

კვლავ გაისმოდა ზაქროს საამური სიმღერა.

X კლასის მოწაფე — ვანო კირაკოშვილი